

„შინაგანი მედიცინის კომპეტენციები“

1. სპეციალობის დასახელება - „შინაგანი მედიცინა“

2. სპეციალობის შინაარსი

შინაგანი მედიცინა მედიცინის ფუნდამენტური დარგია, რომლის მიზანია ზრდასრულთა დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა/მართვა, როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დონეზე.

3. ზოგადი კომპეტენციები/ცოდნა/უნარები

შინაგანი მედიცინის სპეციალისტის (ინტერნისტი, თერაპევტი) ზოგადი კომპეტენციები, ცოდნა და უნარები მოიცავს შემდეგს:

3.1 ანამნეზის შეგროვება

კომპეტენციის აღმწერი:

- ⌋ ანამნეზური მონაცემების კვალიფიციური შეგროვების უნარი და მოპოვებული ინფორმაციის წერილობითი სახით დაფიქსირება;
- ⌋ მოპოვებული ინფორმაციის კლინიკური კვლევის მონაცემებთან სინთეზირება სავარაუდო დიაგნოზის ფორმირებისა და დაავადების მართვის გეგმის ფორმულირების მიზნით.

ცოდნა:

- ⌋ დეტალური და სისტემური ანამნეზური მონაცემების მნიშვნელობის ცოდნა;
- ⌋ განსხვავებული ანამნეზური მონაცემების მნიშვნელობის ცოდნა;
- ⌋ პაციენტის მიერ ანამნეზური მონაცემების გადმოცემის პროცესზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებისა და მდგომარეობების ცოდნა;
- ⌋ ავადმყოფობის ისტორიაში ფიზიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის, ასევე მართვის გეგმის მონაცემების რეგისტრაციის აუცილებლობის ცოდნა.

უნარები:

- ⌋ პაციენტთან ეფექტური კომუნიკაციის ბარიერების იდენტიფიკაციის უნარი;
- ⌋ დროის ეფექტური მართვის უნარი;
- ⌋ ავადმყოფობის ისტორიის წარმოებისას, საჭიროების შემთხვევაში, სტანდარტიზებული ინსტრუმენტების ან კითხვარების

გამოყენება;

-)] პაციენტისგან და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მეშვეობით ანამნეზური მონაცემების ასიმილირების უნარი;
-)] პაციენტისა და მასზე მზრუნველი პირ(ებ)ის არავერბალური კომუნიკაციის ამოცნობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
-)] პაციენტის ოჯახის წევრ(ებ)ის, მასზე მზრუნველი პირ(ებ)ის და მეგობრ(ებ)ის მხრიდან ალტერნატიული და კონფლიქტური ხედვების მართვის უნარი;
-)] რელევანტურ ანამნეზური ფაქტორებზე ფოკუსირების უნარი.

3.2 ფიზიკური გამოკვლევა

კომპეტენციის აღმწერი

-)] ფოკუსირებული ფიზიკური გამოკვლევის უნარი და დაკავშირება მოპოვებულ ანამნეზურ მონაცემებთან სავარაუდო დიაგნოზის ფორმირებისა და დაავადების მართვის გეგმის ფორმულირების მიზნით.

ცოდნა

-)] ვალიდური ფიზიკური კვლევის საჭიროების გაცნობიერება;
-)] კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების სემიოტიკის ცოდნა;
-)] ფიზიკური კვლევის ხელისშემშლელი გარემოებებისა და მათთან გამკლავების სტრატეგიების ცოდნა;
-)] ფიზიკური კვლევის ინფორმაციული შეზღუდულობისა და დიაგნოზს დადგენისთვის დამატებითი კვლევის საჭიროების ცოდნა.

უნარები

-)] დაავადების პრევენტივისა და რისკ-ფაქტორების შესაბამისი ვალიდური, მიზანმიმართული და ეფექტური ფიზიკური კვლევის წარმოების უნარი;
-)] ანამნეზური, ფიზიკური და მენტალური სტატუსის კვლევის მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი კლინიკური, ფიზიოლოგიური, რელიგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების მნიშვნელობის გათვალისწინებით;
-)] ფიზიკური კვლევის მნიშვნელოვან მონაცემების აქცენტირების უნარი;
-)] საჭიროების შემთხვევაში კვლევის დამატებითი რელევანტური საშუალებების გამოყენების უნარი.

3.3 უსაფრთო და რაციონალური ფარმაკოთერაპია

კომპეტენციის აღმწერი

-)] თერაპიული და პრევენციული მიზნით შესაბამისი სამკურნალწამლო საშუალებების გამოწერა და მკურნალობის მონიტორირება.

ცოდნა

-) გამოსაყენებელი მედიკამენტების ჩვენებების, უკუჩვენებების, გვერდითი ეფექტების, მედიკამენტებთან ურთიერთქმედების ასპექტებისა და დოზირების ცოდნა;
-) დანიშნულ მედიკამენტ(ებ)ის განაწილებასა და მეტაბოლიზმზე ასაკის, სხეულის წონის, ორგანული დისფუნქციისა და კონკურენტული დაავადების ეფექტების ცოდნა;
-) სამკურნალწამლო საშუალებების გამოწერის რეგულაციური საფუძვლების ცოდნა.

უნარები

-) ხანგრძლივი მედიკამენტური მკურნალობის საჭიროების ამოცნობის უნარი;
-) მედიკამენტთა ურთიერთქმედებების თავიდან აცილების უნარი;
-) პაციენტებისა და მათზე მზრუნველი პირ(ებ)ის ინფორმირება სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენების აუცილებლობაზე, მედიკამენტთა ურთიერთქმედებებისა და გვერდითი ეფექტების თაობაზე;
-) დოზის ადექვატური კორექცია მედიკამენტთა თერაპიული მონიტორინგის ან ფიზიოლოგიური ცვლილებების (მაგ., თირკმლის ფუნქციის დარღვევა) შესაბამისად;
-) პაციენტის მიმდევრობის (ადრე გამოყენებადი ტერმინი „დამყოლობა“) გაუმჯობესების ვალიდური მეთოდების გამოყენებისა და მიმდევრობაზე ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ფაქტორების დროული ამოცნობის უნარი.

ქცევა

-) პოლიპრაგმაზიის თავიდან აცილება;
-) სამკურნალწამლო საშუალებებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მხრიდან რჩევების მიღებისთვის მზადყოფნა;
-) სამკურნალწამლო საშუალებების დანიშვნის დროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსების გამოყენება;
-) გამოწერილი სამკურნალწამლო საშუალებების თაობაზე ჯანდაცვის შესაბამის პროვაიდერთა შორის ინფორმაციის ადექვატური გაზიარების უზრუნველყოფა;
-) თერაპიული საშუალებების გვერდითი მოვლენების მჭიდრო მონიტორინგი და მათზე დროული რეაგირება.

3.4 ორგანიზება, პრიორიტიზება და რესურსების მართვა

კომპეტენციის აღმწერი

პაციენტის მართვის მიზნით კლინიკური და ორგანიზაციული მოვალეობების ადექვატური პრიორიტიზება და განაწილება. კლინიკური ჯგუფის რესურსების ეფექტურობის ოპტიმიზება.

ცოდნა

-) დროის მენეჯმენტთან მიმართებაში ორგანიზაციული საკითხების მნიშვნელობის გააზრება;

-)] ამოცანებისა და სამუშაოების მნიშვნელობის მიხედვით პრიორიტეზების აუცილებლობის გააზრება;
-)] დაავადების ადექვატურ მართვაში დროული გამოკვლევის, დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მნიშვნელობის გააზრება.
-)] უნარები
-)] უკვე არსებული ან მოსალოდნელი კლინიკური და ორგანიზაციული ამოცანების იდენტიფიცირების უნარი;
-)] გადაუდებელი ამოცანების გადაჭრისთვის საჭირო დროის გათვლისა და შესაბამისი ქმედების გეგმის ჩამოყალიბების უნარი;
-)] ამოცანათა დაჯგუფების (სტრატეგიკაციის) უნარი;
-)] გადაუდებელი ამოცანების ამოცნობისა და მიზნობრივი მართვის უნარი;
-)] ჯგუფური სამუშაო ორგანიზების და ეფექტური მართვის უნარი;
-)] ჯგუფური სამუშაო დატვირთვებისა და განაწილების რეგულარული გადახედვისა და რეპრიორიტეზების უნარი.

ქცევა

-)] მუშაობის მოქნილი მანერა და ამოცანების ეფექტური გადაჭრა;
-)] ადექვატური ქმედებების განხორციელება საკუთარი ან გუნდის წევრის ჩამორჩენით განპირობებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით;
-)] პრიორიტეტების ცვლილებების შემთხვევაში ინფორმაციის დროული მიწოდება;
-)] სტრესული სიტუაციებისადმი მშვიდი და რაციონალური მიდგომა.

3.5 კლინიკური აზროვნება, მართვის გეგმის შემუშავება

კომპეტენციის აღმწერი

-)] ხელმისაწვდომი კლინიკური ინფორმაციის საფუძველზე დიაგნოსტიკური და თერაპიული გეგმის შემუშავება;
-)] დიაგნოსტიკური და თერაპიული გეგმის პრიორიტეზება;
-)] დიაგნოსტიკური და თერაპიული გეგმის ზედმიწევნით განხორციელება.

ცოდნა

-)] დიაგნოსტიკური აზროვნების საფუძვლების იდენტიფიცირება:
 - o ანამნეზური და კლინიკური სიმპტომების/ნიშნების ინტერპრეტაცია;
 - o კლინიკური პრობლემის კონცეპტუალიზაცია;
 - o კლინიკური ალბათობის კონტექსტში ჰიპოთეზის გენერირება;
 - o ჰიპოთეზის ტესტირება, დაზუსტება და ვერიფიკაცია.
-)] პრობლემათა ჩამონათვალის შექმნა და ქმედების გეგმის ჩამოყალიბება;
-)] ექსპერტული რჩევის, კლინიკური გაიდლაინების/protokolebis და ალგორიტმების ადექვატური გამოყენება;
-)] კონკრეტული პაციენტისა და პაციენტთა კოჰორტისთვის ყველაზე ეფექტური (მათ შორის ხარჯთეფექტური) მკურნალობის

სქემის ჩამოყალიბება;

-) დაავადების მიმდინარეობისა და რისკის შეფასება;
-) ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების მეთოდოლოგიის ცოდნა;
-) ფარდობითი და აბსოლუტური რისკის შეფასების მეთოდების ცოდნა;
-) დიაგნოსტიკური ტესტების პრედიქტიული (პროგნოზული) ღირებულების, სენსიტიურობისა და სპეციფიკურობის ცოდნა.

უნარები

-) კლინიკური სიმპტომატიკის ინტერპრეტაციის, მათი სანდოობის და კლინიკურ სცენართან რელევანტობის დადგენის უნარი;
-) კრიტიკული მდგომარეობების დროული ამოცნობისა და დაუყოვნებელი რეაგირების უნარი;
-) პაციენტის შეფასების შემდგომ სავარაუდო ჰიპოთეზ(ებ)ის გენერირების უნარი;
-) ხელმსაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე პრობლემათა მოკლე ჩამონათვალის ჩამოყალიბების უნარი;
-) მართვის ადექვატური გეგმის შექმნისა და საჭიროების შემთხვევაში, ამ გეგმის პაციენტისთვის, მისი ნათესავებისთვის და მზრუნველი პირებისთვის გაზიარების უნარი;
-) კონკრეტულ პაციენტთან მიმართებაში მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების უნარი;
-) რისკის კალკულატორ(ებ)ის ადექვატური გამოყენების უნარი;
-) კონკრეტულ პაციენტთან მიმართებაში თერაპიული ინტერვენციის რისკის და სარგებლის რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენების უნარი.

ქცევა

-) თერაპიული ჩარევის მოსალოდნელი რისკისა და სარგებლის პაციენტთან განხილვისთვის მზადყოფნა;
-) პაციენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებისთვის მზადყოფნა;
-) კლინიკური გადაწყვეტილების მიღების დროს მტკიცებულებების მოძიებისთვის მზადყოფნა;
-) კლინიკური აზროვნების პროცესში საკუთარი ცდომილებებისა და არათანმიმდევრულობის იდენტიფიცირებისა და აღიარებისთვის მზადყოფნის დემონსტრირება.

3.6 პაციენტზე ზრუნვა

კომპეტენციის აღმწერი

-) პაციენტის სურვილების პრიორიტიზება მათი რწმენის, მოლოდინებისა და საჭიროებების იდენტიფიკაციის მეშვეობით;

ცოდნა

-) განსაზღვრული პოპულაციების (მაგ., ზრდასრულები ან მოზარდები, ეთნიკური უმცირესობები) საჭიროებების დადგენის ასპექტებისა და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე კულტურული და ეთნიკური ზეგავლენის შესახებ ცოდნა.

უნარები

-)] პაციენტის მიერ იდეების, მოსაზრებებისა და მოლოდინების გამოხატვისთვის ადეკვატური ყურადღებისა და საჭირო დროის დათმობა;
-)] პაციენტის კითხვებზე გულწრფელი პასუხის გაცემის უნარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რჩევის მოძიება;
-)] კლინიკურ ჯგუფში პაციენტზე ფოკუსირებული მოვლის დანერგვა;
-)] საჭიროების შემთხვევაში პაციენტის, მისი ნათესავების ან/და მზრუნველი პირ(ებ)ის ხელშეწყობა მართვის გეგმის შესრულების მიზნით;
-)] პაციენტის მიერ მართვის თაობაზე საკუთარი შეხედულებების და პერსონალური არჩევანის შესახებ მოსაზრებების გამოთქმის ხელშეწყობა.

ქცევა

-)] საკუთარი დაავადების მართვის პროცესში პაციენტის ჩართულობის ხელშეწყობა;
-)] პაციენტის ადვოკატირების მოვალეობის აღიარება;
-)] სხვადასხვა ასაკის პაციენტებისთვის (მაგ., მოზარდები) დამახასიათებელი დამოკიდებულებებისა და აღქმების გაზიარება და პატივისცემა.

3.7 პაციენტის უსაფრთხოება

კომპეტენციის აღმწერი

-)] პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იატროგენული რისკის მინიმიზაცია.

ცოდნა

-)] უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპების ცოდნა;
-)] სამედიცინო აღჭურვილობის გამოყენებასთან ასოცირებული საფრთხეების შესახებ ცოდნა;
-)] სამკურნალწამლო საშუალებების გვერდითი ეფექტებისა და უკუჩვენებების ცოდნა;
-)] რისკის შეფასებისა და მართვის პრინციპების ცოდნა;
-)] პერსონალურ, კლინიკურ და ორგანიზაციულ დონეზე უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის კომპონენტების ცოდნა.

უნარები

-)] სამედიცინო აღჭურვილობის სწორი და უსაფრთხო გამოყენების უნარი;
-)] თერაპიული ინტერვენცი(ებ)ის გვერდითი ეფექტებისა და უკუჩვენებების, ასევე პაციენტის მდგომარეობის გაუარესების ნიშნების დროული იდენტიფიკაციის უნარი;
-)] პაციენტის უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველი მნიშვნელოვანი შემთხვევის დეტალური განხილვა კოლეგებთან, იდნივიდუალური და გუნდური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

ქცევა

-) უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა და მუდმივი ხელშეწყობა;
-) სამედიცინო გუნდის ყველა წევრთან უკუკავშირის უზრუნველყოფა უსაფრთხოების პრობლემების დროული ამოცნობის, შეტყობინების და მიზეზების ანალიზის მიზნით.

3.8 გუნდური მუშაობა და ლიდერობა

კომპეტენციის აღმწერი

-) მულტიდისციპლინურ სამედიცინო გუნდში და პოზიციაზე მუშაობის უნარები;
-) სამედიცინო გუნდის ხელმძღვანელობისთვის საჭირო ლიდერული უნარები, ეფექტური და უსაფრთხო სამედიცინო სერვისის უზრუნველყოფის მიზნით;
-) ჯანდაცვის სხვადასხვა პროფესიონალებთან მიმართებაში პასუხისმგებლობა და როლი.

ცოდნა

-) პაციენტის და ზოგადად პოპულაციის ჯანდაცვის სერვისით უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური ინტერპერსონალური კოლაბორაციის პრინციპების ცოდნა;
-) გუნდური მუშაობის პრინციპების და დინამიკის ცოდნა;
-) მულტიდისციპლინური გუნდის თითოეული წევრის როლის, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის საკითხების ცოდნა;
-) ექიმის პროფესიული ეფექტურობის ხელისშემშლელი ფაქტორების და მათთან გამკლავების მეთოდების ცოდნა;

უნარები

-) კოლეგებთან აკურატული, ღია და ადექვატური კომუნიკაციის უნარი;
-) მულტიდისციპლინური გუნდში მოვალეობების ეფექტური დელეგირების და მართვის პრინციპების ცოდნა;
-) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ეფექტური კომუნიკაციის და ორგანიზაციული მხარდაჭერის უნარები;
-) აკონფლიქტური სიტუაციების პრევენციის, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში – გადაჭრის უნარები.
-) ლიდერობისა და მართვის შემდეგი უნარები:
 - o სწავლებისა და პროფესიული მზადების უნარი;
 - o კოლეგების პროფესიულ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე ფაქტორების (მაგ., სტრესი, დაღლილობა) ამოცნობის უნარი;
 - o კონფლიქტური სიტუაციების მართვისა და პრევენციის უნარი;
 - o ინტერდისციპლინურ გუნდურ შეხვედრებში მონაწილეობის და საჭიროების შემთხვევაში სესიების წარმართვის უნარი;
 - o ნაკლებად გამოცდილ კოლეგებზე ჯეროვანი ზედამხედველობის წარმოების უნარი.

ქცევა

-)/ მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში ლიდერობა;
-)/ გუნდის წევრებს შორის ღია და ტრანსპარტენტული კომუნიკაციის შემთხვევაში მხარდაჭერის და პატივისცემის გამომხატველი ქმედება;
-)/ ინფორმაციის დროული გაზიარება სამედიცინო გუნდის წევრებს შორის;
-)/ განსხვავებული აზრის პატივისცემა;
-)/ სათანადო კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;
-)/ გუნდური მუშაობის პრობლემების გაანალიზება;
-)/ აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების აღება.

3.9 ხარისხის უზრუნველყოფა

კომპეტენციის აღმწერი

-)/ მაღალი დონის სამედიცინო სერვისის სტანდარტების დანერგვის და პაციენტთა უსაფრთხოების ოპტიმიზაციის მიზნით სამედიცინო პრაქტიკის მჭიდრო მონიტორინგი, „დამნაშავის ძიების გარეშე“ პრინციპით შეცდომებზე სწავლების კულტურის დანერგვა.

ცოდნა

-)/ კლინიკური მართვის ელემენტების ცოდნა;
-)/ კლინიკური ეფექტურობის გაზრდის მიზნით მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის მნიშვნელობის ცოდნა;
-)/ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ლოკალური პროტოკოლების ცოდნა.

უნარები

-)/ რისკის მინიმიზაციის სტრატეგიების გამოყენების უნარი;
-)/ ხარისხის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობის უნარი;
-)/ კლინიკური ინციდენტების შეტყობინების უნარი;
-)/ ავადობისა და სიკვდილობის სტატისტიკის გაანალიზების უნარი;
-)/ საკუთარი პრაქტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზის უნარი.

ქცევა

-)/ ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიების დანერგვის პროცესში მონაწილეობისთვის მზადყოფნა;
-)/ სამედიცინო საქმიანობის აუდიტის შედეგებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება;
-)/ სამედიცინო სერვისის ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელების პროცესში

3.10 ინფექციის კონტროლი

კომპეტენციის აღმწერი

-) კონკრეტულ პაციენტისა და საზოგადოების დონეზე ინფექციის მართვა და კონტროლი.

ცოდნა

-) ინფექციის კონტროლის პრინციპების ცოდნა;
-) მაღალი რისკის ჯგუფებში, რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპიის საფუძველზე, ინფექციის პრევენციის პრინციპების ცოდნა;
-) ინფექციის კონტროლის ლოკალური ინსტიტუციონალური ორგანოების როლისა და ფუნქციების ცოდნა.

უნარები

-) ინფექციის რისკის, გადაცემის და კონტროლის საკითხებზე პაციენტის კონსულტირების უნარი;
-) ინფექციის ლოკალური კონტროლის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა;
-) რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპიის წარმოების უნარი;
-) კლინიკურ გარემოში ჯვარედინი ინფექციის საშიშროების ამოცნობის და პრევენციის უნარი;
-) რელევანტური ასეპტიკური ტექნიკის გამოყენების უნარი.

ქცევა

-) სამედიცინო გუნდის წევრების, პაციენტების და სხვა პირთა მიერ ინფექციის კონტროლის პრინციპების დაცვის ხელშეწყობა.

3.11 ქრონიკული დაავადებების მართვა

კომპეტენციის აღმწერი

-) ქრონიკული დაავადებების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება მულტიდისციპლინური გუნდის წევრების, პაციენტის, მისი ახლობლებისა ანდა მასზე მზრუნველი პირების აქტიური ჩართულობით.

ცოდნა

-) ქრონიკული დაავადებების პათოგენეზის, კლინიკური სურათის, მკურნალობის და მართვის შესახებ ცოდნა;
-) ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ პაციენტებში რეაბილიტაციის და მულტიდისციპლინური გუნდის როლის შესახებ ცოდნა;
-) პაციენტზე, მის ოჯახსა და ახლობლებზე ქრონიკული დაავადების ზეგავლენის ასპექტების შესახებ ცოდნა;
-) ცხოვრების ხარისხის კონცეფციისა და მისი შეფასების მეთოდების ცოდნა;

-)] საკუთარი დაავადების მართვაში პაციენტის ჩართულობის ხელშეწყობის სტრატეგიების ცოდნა;
-)] უუნარობის სამედიცინო და სოციალური მოდელების შესახებ ცოდნა;
-)] ქრონიკული პაციენტების მოვლაში ჯანდაცვის ლოკალური, საგანმანათლებლო და სოციალური სერვისების როლის ცოდნა.

უნარები

-)] ქრონიკული დაავადების მართვის გეგმის შემუშავების და მასში პაციენტის (მისი ახლობლების ან მზრუნველი პირების) აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის უნარი;
-)] ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ პაციენტთან ჯეროვანი კომუნიკაციის დამყარების და უზრუნველყოფის უნარი;
-)] ქრონიკული პაციენტის მართვისთვის საჭირო აღჭურვილობით ოპერირების უნარი;
-)] პაციენტის ეფექტური საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოების უნარი, მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერით;
-)] პაციენტის ხელშეწყობა და მხარდაჭერა სათანადო ინფორმაციის მიღება-მოპოვებაში;
-)] პაციენტისთვის, გადაწყვეტილების მიღების გაადვილების მიზნით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის ადექვატური ფორმით მიწოდების უზრუნველყოფა.

ქცევა

-)] პაციენტის ადვოკატირება და მისდამი ემპათიური მიდგომა;
-)] ქრონიკულ პაციენტსა და შესაბამის სამედიცინო თუ სოციალურ დაწესებულებებს შორის კავშირის ხელშეწყობა;
-)] რელევანტური ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება საჭიროებისამებრ;
-)] ქრონიკული დაავადებით შეპყრობილი პაციენტის საკუთარი დაავადების მართვის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა;
-)] სამედიცინო ჯგუფის სხვა წევრებთან და ინსტიტუციური სტრუქტურების წარმომადგენლებთან ადექვატური კომუნიკაცია;
-)] ქრონიკული დაავადებით შეპყრობილი პაციენტის მართვის პროცესში ოჯახის, მეგობრებისა და მზრუნველ პირთა როლის აღიარება.

3.12 კომუნიკაცია

კომპეტენციის აღმწერი

-)] პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და მასზე მზრუნველ პირებთან ეფექტური კომუნიკაცია.

ცოდნა

-)] სტრუქტურული ინტერვიუების მეთოდების ცოდნა;
-)] მართვის პროცესში პაციენტის მენტალური, სოციალური და კულტურული ფაქტორების როლის და ზეგავლენის შესახებ ცოდნა;
-)] სხვადასხვა ასაკის პაციენტებთან ურთიერთობისას პიროვნების განვითარების ეტაპების შესახებ ცოდნა.

უნარები

-)] პაციენტთან და მასზე მზრუნველ პირებთან ადექვატური კომუნიკაციის დამყარების და შენარჩუნების უნარი;
-)] აქტიური მოსმენის და ფრთხილი შეკითხვის დასმის სტრატეგიის გამოყენება, განსაკუთრებით პაციენტისთვის უხერხული გარემოებების/ინციდენტების დროს (მაგ., ოჯახური თუ სექსუალური ძალადობა);
-)] კომუნიკაციის ბარიერების იდენტიფიკაციის და მართვის უნარი;
-)] თანაგრძნობის გამოხატვის უნარი;
-)] პაციენტის მხრიდან ემოციური რეაქციის (ანტიპათია, შფოთვა, მრისხანება და ა.შ.) ნიშნების ამოცნობის და მართვის უნარი;
-)] პაციენტის და მასზე მზრუნველი პირების ინფორმაციული ინტერესების სრულიად დაკმაყოფილების უნარი;
-)] წარმართული დისკუსიების თანმიმდევრული და აკურატული პროტოკოლირების უნარი.

ქცევა

-)] პაციენტზე ფოკუსირებული, ემპათიური მიდგომის განხორციელება;
-)] განსხვავებული აზრის მოსმენა და გათვალისწინება;
-)] კონფლიქტურ სიტუაციებში ეთიკური მიდგომის გახორციელება;
-)] სხვისი ღირებულებების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.

3.13 ცუდი ინდორმაციის მიწოდება/შეტყობინება

კომპეტენციის აღმწერი

-)] პაციენტისთვის, ნათესავებისთვის და მზრუნველთათვის ცუდი ამბის შეტყობინების სტრატეგია და უნარები.

ცოდნა

-)] ცუდი ამბის შეტყობინების სტრატეგიების ცოდნა და იმის გაცნობიერება, რომ ეს პროცესი პროფესიული საქმიანობის განუყოფელი ნაწილია;
-)] იმის გაცნობიერება, რომ სხვადასხვა პაციენტი მოითხოვს სხვადასხვა დონის განმარტებებს და სხვადასხვაგვარად რეაგირებს ცუდი ამბის შეტყობინებაზე;
-)] ცუდი ამბის შეტყობინების შემდეგ პაციენტის, მისი ნათესავების ანდა მზრუნველი პირების თანადგომის საჭიროების გაცნობიერება;
-)] ცუდი ამბის შეტყობინებისთვის მზადების (ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები) მნიშვნელობის გაცნობიერება:
 - o საუბრისთვის კონფიდენციალური გარემოს შექმნა;
 - o შესაბამისი დროის შერჩევა;
 - o დაავადების პროგნოზსა და მკურნალობის საშუალებებზე საკმარისი ინფორმაციის მოძიება;
 - o ინტერვიუს სტრუქტურირება;
 - o გულწრფელობის, რეალიზმის და ემპათიის შენარჩუნება;

- შესაბამისი გზამკვლევი დოკუმენტებით ხელმძღვანელობა.
- ⌋ იმის გაცნობიერება, რომ ცუდი ამბავი პაციენტისთვის, მისი ნათესავების და მზრუნველი პირებისთვის შეიძლება იყოს მოსალოდნელი ან მოულოდნელი;
- ⌋ პათანატომიური კვლევის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ქმედებების საჭიროების შესახებ ცოდნა.

უნარები

- ⌋ ცუდი ამბის შეტყობინების სტრატეგიების ეფექტური გამოყენების უნარი;
- ⌋ ცუდი პროგნოზის შემთხვევაში, შემდგომი მართვის პროცესში თავად პაციენტის და მასზე მზრუნველი პირების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ⌋ პაციენტის და მასზე მზრუნველი პირების სიტყვიერ და ვიზუალური რეპლიკებზე ადეკვატური რეაგირების უნარი;
- ⌋ ეპმათიური, გულწრფელი და მგრძობიარე მიდგომის გახორციელების უნარი უადგილო ოპტიმიზმის ან პესიმიზმის გაღვივების გარეშე;
- ⌋ სტრუქტურირებული ინტერვიუს წარმოების უნარი;
- ⌋ შეტყობინების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის უნარი (ადგილის, დროის და გარემოების სწორი შერჩევა);
- ⌋ პაციენტთან ან მასზე მზრუნველ პირებთან დიაგნოზის, მკურნალობის და პროგნოზის თაობაზე ახსნა-განმარტებითი სამუშაოს წარმოების უნარი.

ქცევა

- ⌋ ცუდი ამბის შეტყობინების პროცესის და სიტუაციის სრული ფლობა;
- ⌋ სხვადასხვა პირების მიერ ცუდ ამბებზე სხვადასხვა რეაქციის მიმართ პატივისცემით და გაგებით მოპყრობა.

3.14 კონფლიქტის პრევენცია და მართვა

კომპეტენციის აღმწერი

- ⌋ კონფლიქტური სიტუაციების მართვა ეთიკის და ლოკალური პროცედურების დაცვით.

ცოდნა

- ⌋ გასაჩივრების ლოკალური პროცედურების ცოდნა;
- ⌋ საჩივრის მაპროვოცირებელი ფაქტორების (ცუდი კომუნიკაცია, უხეშობა და ა.შ.) შესახებ ცოდნა;
- ⌋ პაციენტისა და მასზე მზრუნველი პირების უკმაყოფილების გამკლავების სტრატეგიების ცოდნა;
- ⌋ არაკონფრონტაციული მანერის, პრობლემისადმი გულწრფელი და მგრძობიარე მიდგომის მნიშვნელობის გააზრება და ცოდნა;
- ⌋ ბოდიშის მოხდის ეფექტური პრინციპების ცოდნა და მნიშვნელობის გააზრება;
- ⌋ საჩივრის განხილვაში და მასზე რეაგირებისთვის კოლეგების დახმარების და კონსულტაციის საჭიროების გააზრება;

საექიმო შეცდომის შემთხვევაში გარეგანი დახმარების და კვალიფიციური კონსულტაციის საჭიროების გააზრება და ცოდნა.
უნარები

- საჩივრის შესწავლის და განხილვის პროცედურების ხელშეწყობის უნარი;
- პაციენტისთვის იმ გარემოებების ახსნის უნარი, რამაც განაპირობა სამედიცინო შეცდომა;
- საკუთარი შეცდომის აღიარების და ადექვატური ბოდიშის მოხდის უნარი;
- სისტემური და ინდივიდუალური შეცდომების განსხვავების უნარი;
- საკუთარ და სხვათა შეცდომებზე სწავლის უნარი.

ქცევა

- პაციენტზე, სამედიცინო გუნდზე და ჯანდაცვის ნაციონალურ სისტემაზე კონფლიქტური სიტუაციების ზეგავლენის გააზრება;
- შეცდომების და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე პროცესების ხელშეწყობა და შესაბამისი კულტურის დანერგვა;
- პაციენტის, მისი ოჯახის წევრების და მასზე მზრუნველი პირების გასაჩივრების უფლების აღიარება და ამ უფლებისადმი პატივისცემის გამოხატვა.

3.15 ჯანმრთელობის ხელშეწყობა

კომპეტენციის აღმწერი

- ინდივიდებთან და პოპულაციებთან აქტიური მუშაობა ავადობის შემცირების და ზოგადად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით.

ცოდნა

- დაავადებების შემთხვევების და პრევალირების ხელშეწყობი ფაქტორების შესახებ ცოდნა;
- ჯანმრთელობაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების (ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური) ცოდნა;
- ჯანმრთელობაზე ცხოვრების სტილის ზეგავლენის და იმ ფაქტორების ცოდნა, რომლებიც მოქმედებენ ცხოვრების სტილზე;
- ქვეყანაში არსებული სკრინინგული პროგრამების დანიშნულების ცოდნა;
- ჯანმრთელობას, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებების შესახებ ცოდნა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველი ფაქტორების შესახებ ცოდნა;
- ავადობის და სიკვდილობის ძირითადი ფაქტორების და მათი შემცირების ეფექტური სტრატეგიების შესახებ ცოდნა;
- სამუშაოს და ჯანმრთელობის ურთიერთქმედების ასპექტების ცოდნა;
- უნარდაქვეითებულ პირთა სოციალური რეინტეგრაციის მნიშვნელობის გააზრება და შესაბამისი სტრატეგიების ცოდნა.

უნარები

-)] დაავადებათა პრევენციის ბაზისური უნარები;
-)] ჯანმრთელობასთან მიმართებაში მენტალური, ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობის ფაქტორების იდენტიფიკაციის უნარი;
-)] რისკის სკრინინგის თაობაზე პაციენტთა კონსულტირების უნარი;
-)] ცხოვრების ჯანსაღი სტილის პრინციპების დანერგვის უნარი;
-)] საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ორიენტირებულ სააგენტოებთან და საზოგადოებებთან კომუნიაციის და თანამშრომლობის უნარი;
-)] უნარდაქვეითებულ პირთა რესოციალიზაციის და რეინტეგრაციის სტრატეგიების ეფექტური გამოყენების უნარი.

ქცევა

-)] ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მულტიდისციპლინურ გუნდში აქტიური ჩართულობა და საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობა;
-)] ადრეული ინტერვენციის განხორციელების მიზნით სკრინინგული პროგრამების ხელშეწყობა.

3.16 ეთიკა და კონფიდენციალობა

კომპეტენციის აღმწერი

-)] სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის მარეგულირებელი პრინციპების, გაიდლაინების და საკანონმდებლო ბაზისი ცოდნა, გაცნობიერება და რელევანტური გამოყენება.

ცოდნა

-)] სამედიცინო ეთიკის პრინციპების ცოდნის დემონსტრირება;
-)] მონაცემთა დაცვის და ინფორმაციის თავისუფლების პრინციპების ცოდნა;
-)] ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობის და მიღების პროცედურების შესახებ ცოდნა;
-)] საზოგადო ინტერესების გამო პაციენტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის განსაჯაროების თანმდევი პრობლემების შესახებ ცოდნა;
-)] ეთიკურ გადაწყვეტილებაზე მოქმედი რელიგიური, მორალური და კულტურული ფაქტორების შესახებ ცოდნა;
-)] ევთანაზიის ასპექტების ცოდნა.

უნარები

-)] კონფიდენციალობის დაცვით ინფორმაციის გამოყენებისა და გაზიარების უნარი;
-)] ინფორმაციის გაზიარების საჭიროებაზე პაციენტის კონსულტირების უნარი;
-)] პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან ანდა მზრუნველ პირებთან სიცოცხლის ან/და მკურნალობის შეწყვეტა/გაგრძელების

თაობაზე ტაქტიანი და ეფექტური კონსულტირების უნარი.

ქცევა

-) ეთიკის პრინციპების საყოველთაო დაცვა;
-) ეთიკური დილემის ან/და კონფიდენციალობის დარღვევის საჭიროების შემხვევაში გარეგანი კვალიფიციური რჩევისა და დახმარების მიღების სურვილის დემონსტრირება;
-) ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე პაციენტის სურვილის პატივისცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ქმნის რისკს თავად პაციენტისთვის ან სხვებისთვის;
-) მკურნალობის შესახებ პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდება პაციენტის მხრიდან საწინააღმდეგო სურვილის არარსებობის შემთხვევაში.

3.17 ინფორმირებული თანხმობის მოპოვება

კომპეტენციის აღმწერი

-) პაციენტის მხრიდან ვალიდური ინფორმირებული თანხმობის მიღება.

ცოდნა

-) ინფორმირებული და ვალიდური გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ცოდნა;
-) ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცესზე პაციენტის მენტალური სტატუსის ზეგავლენის ასპექტების შესახებ ცოდნა.

უნარები

-) გადაწყვეტილებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება პაციენტისთვის გასაგებ ფორმებში და საკმარისი დროს გამოყოფა ინფორმაციის განსჯისთვის.

ქცევა

-) პაციენტის ავტონომიურობის უფლების პატივისცემა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი გადაწყვეტილება მასვე უქმნის რისკს;
-) რთულ სიტუაციებში კვალიფიციური პროფესიული და იურიდიული რჩევის მიღების სურვილის დემონსტრირება;
-) პერსონალური, მორალური ან რელიგიური მოსაზრებების გამო ჩვეული პროფესიული ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში პაციენტის ინფორმირება და პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება.

3.18 სამედიცინო საქმიანობის იურიდიული ასპექტები

კომპეტენციის აღმწერი

- ქ პროფესიული საქმიანობის განხორციელება დადგენილი რეგულაციური ჩარჩოების ფარგლებში.

ცოდნა

- ქ ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე;
- ქ საქართველოს ჯანდაცვის სფეროს საქმიანობის და საექიმო პრაქტიკის მარეგულირებელი იურიდიული ნორმების ცოდნა;
- ქ სამედიცინო მალპრაქტიკის საპასუხო დისციპლინური პროცესების შესახებ ცოდნა.

უნარები

- ქ სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან თანამშრომლობის უნარი ლეგალური მოთხოვნების შესაბამისად;
- ქ ადექვატური სამედიცინო დასკვნის წარმოება და საჭიროებისამებრ წარდგენის უნარი ლეგალური მოთხოვნების შესაბამისად;
- ქ ყოველდღიურ საექიმო პრაქტიკაში იურიდიული პრინციპების დანერგვის უნარი;
- ქ კლინიკურ პრაქტიკაში დოკუმენტაციის აკურატული წარმოების უნარი.

ქცევა

- ქ გასაჩივრების პროცედურების ცოდნა.

3.19 ეთიკური სამეცნიერო კვლევა

კომპეტენციის აღმწერი

- ქ სამეცნიერო კვლევის წარმოება ეთიკური პრინციპების შესაბამისად.

ცოდნა

- ქ კვლევის წარმოების GCP სტანდარტების ცოდნა და ამ ცოდნის დემონსტრირება;
- ქ კვლევისა და აუდიტის განმასხვავებელი ნიშნების ცოდნა;
- ქ კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბების და პროექტის შედგენის პრინციპების ცოდნა;
- ქ კვლევის ხარისხობრივი, რაოდენობრივი, ბიოსტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური პრინციპების ცოდნა;
- ქ კვლევის წარმოებისთვის საჭირო ფონდების შესახებ ცოდნა.

უნარები

- ქ ლიტერატურის დამუშავებისას კრიტიკული შეფასების უნარების გამოყენება;
- ქ სამეცნიერო ნაშრომის წერის უნარები;

-) ეთიკური კვლევის უფლების მოპოვების უნარების დემონსტრირება;
-) ლიტერატურული ბაზით სარგებლობის უნარი;
-) ვერბალური და წერილობითი პრეზენტაციის უნარები;
-) ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით პოპულაციაზე დაფუძნებული შეფასების და ერთეულზე დაფუძნებული კვლევების შედეგების შეფასების უნარი.

ქცევა

-) კვლევის ეთიკურად და უსაფრთხოდ წარმართვის აუცილებლობის შეგნება და შესაბამისი გაიდლაინებით ხელმძღვანელობა;
-) ეთიკურ კვლევაში მონაწილეობის სურვილის დემონსტრირება.

3.20 მტკიცებითი საექიმო პრაქტიკა

კომპეტენციის აღმწერი

-) პაციენტთა მკურნალობაში არსებული საუკეთესო მტკიცებითი ბაზისა და გაიდლაინების გამოყენება.

ცოდნა

-) სამედიცინო პრაქტიკაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების აუცილებლობის გააზრება და ამ მეთოდების შესახებ ცოდნა;
-) სხვადასხვა კვლევით მეთოდოლოგიებს (რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა, ქეის-კონტროლირებადი კოჰორტული კვლევა და ა.შ.) შორის უპირატესობების და ნაკლოვანი მხარეების შესახებ ცოდნა;
-) კრიტიკული შეფასების პრინციპების ცოდნა;
-) მტკიცებულების დონის და ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ცოდნა;
-) კლინიკური გაიდლაინების ჩამოყალიბებაში მტკიცებულების როლის და შეზღუდვების შესახებ ცოდნა;
-) გაიდლაინების უპირატესობების და ნაკლოვანებების ცოდნა;
-) ნაციონალური გაიდლაინების/პროტოკოლების ჩამოყალიბების მექანიზმების ცოდნა.

უნარები

-) სხვადასხვა ფორმატის სამედიცინო ლიტერატურის მოძიების უნარები;
-) კლინიკურ კითხვასთან მიმართებაში მოპოვებული მტკიცებულების შეფასების უნარი;
-) კრიტიკული შეფასებით მიღებული დასკვნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
-) კვლევის შეზღუდვების შეფასების უნარი;
-) ლოკალური გაიდლაინების და პროტოკოლების შემუშავებაში, გადახედვასა და გადანხლებაში მონაწილეობის უნარი.

ქცევა

-) კლინიკურ პრაქტიკაში მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული ნაციონალური/საერთაშორისო გაიდლაინების და

პროტოკოლების გამოყენება;

- ქ კოლეგებთან პროფესიული დისკუსიის წარმოება მტკიცებითი მედიცინის საფუძველზე.

3.21 კლინიკური აუდიტი

კომპეტენციის აღმწერი

- ქ კლინიკური პრაქტიკის აუდიტი და მიღებული შედეგების შესაბამისი გამოყენება.

ცოდნა

- ქ აუდიტის მეშვეობით მონაცემთა მიღების სხვადასხვა მეთოდების (პაციენტთა უკუკავშირის კითხვარები, ჰოსპიტალური წყაროები და სხვა) შესახებ ცოდნა;
- ქ აუდიტის როლის და დანიშნულების გააზრება;
- ქ აუდიტის ციკლის საფეხურების ცოდნა.

უნარები

- ქ აუდიტის სრული ციკლის დიზაინირების, დანერგვის და შესრულების უნარი;
- ქ აუდიტის ლოკალური და ნაციონალური პროექტების ხეშეწყობის უნარი.

ქცევა

- ქ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კლინიკურ პრაქტიკაში აუდიტის საჭიროების გააზრება.

3.22 სწავლება და პერსონალური განვითარება

კომპეტენციის აღმწერი

საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ცოდნა

- ქ ზრდასრულთა განათლების და სამედიცინო განათლების პრინციპების ცოდნა;
- ქ სწავლის/სწავლების მეთოდების და ეფექტური სასწავლო გარემოს იდენტიფიცირება;
- ქ საგანმანათლებლო მიზნების და შედეგების ჩამოყალიბების გზების ცოდნა;
- ქ ეფექტური გამოკითხვის და შეფასების ტექნიკის ცოდნა;
- ქ სწავლების ფორმატების და სტიმულირების მეთოდების ცოდნა;
- ქ სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილე/განმახორციელებელი სტრუქტურების და ინსტიტუციების შესახებ ცოდნა;
- ქ უწყვეტი პროფესიული განვითარების რეგულაციების და რესურსების ცოდნა.

უნარები

-) სწავლების ფორმატების ადექვატური და რელევანტური გამოყენების უნარი;
-) სწავლების შედეგების შესაფასებლად ეფექტური უკუკავშირის უზრუნველყოფის უნარი;
-) ეფექტური ლეციების, პრეზენტაციების, მცირე ჯგუფებში და ავადმყოფის საწოლთან სწავლების წარმოების უნარი;
-) ადექვატური კარიერული ინფორმაციის მიწოდების და რჩევის უნარი;
-) პაციენტთა განათლების გაუმჯობესებაზე ზრუნვის უნარი;
-) სწავლების დეფიციტის და ნაკლოვანებების აღმოჩენის და აღმოფხვრის უნარი;
-) უწყვეტი პროფესიული განვითარების რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება მუდმივი პროფესიული და კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

ქცევა

-) სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებისას პაციენტის ღირსების და უსაფრთხოების გათვალისწინება;
-) სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მზადყოფნის დემონსტრირება.

4. მდგომარეობები და დაავადებები

4.1 ტიპური კლინიკური სინდრომების მართვის კომპეტენციები (ანბანური თანმიმდევრობით)

ICD 10/ICPC2	სინდრომი/სიმპტომი	კომპეტენციის მოცულობა
R19.8 / D24	აბდომინალური მასა (მოცულობითი წარმონაქმნი მუცლის ღრუში)	<ul style="list-style-type: none">) აბდომინალური მასის შესაძლო მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) აბდომინალური მასის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) აბდომინალური მასის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) აბდომინალური მასის შემთხვევაში პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტის მოწვევა/რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R10.1; R10.3; R10.4 / D01; D02; D06	აბდომინალგია (ტკივილი მუცლის არეში)	<ul style="list-style-type: none">) აბდომინალური ტკივილის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) აბდომინალური ტკივილის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) აბდომინალური ტკივილის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) აბდომინალური ტკივილის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
F10 / P15; P18	ალკოჰოლზე/სუბსტანციებზე დამოკიდებულება	<ul style="list-style-type: none">) ალკოჰოლზე/სუბსტანციებზე დამოკიდებულების ნიშნებისა და მართვის ასპექტების ცოდნა;

		<ul style="list-style-type: none">) ალკოჰოლზე/სუბსტანციებზე დამოკიდებული პაციენტის შეფასების უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) სპეციალისტის კონსულტირების მეშვეობით ალკოჰოლზე/სუბსტანციებზე დამოკიდებული პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R18	ასციტი	<ul style="list-style-type: none">) ასციტის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) ასციტის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) ასციტის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) ასციტის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R21 / S06; S07	გამონაყარი	<ul style="list-style-type: none">) სიყვითლის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) მწვავე გამონაყრის/კანის ტიპური დაავადების მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) მწვავე გამონაყრის/კანის ტიპური დაავადების მქონე პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტთან კონსულტაციის მეშვეობით;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის

R12 / D03	გულზეწვა/გულძმარვა/ რეგურგიტაცია	<p>განხილვა.</p> <ul style="list-style-type: none">) გულზეწვის/გულძმარვის/რეგურგიტაციის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) გულზეწვის/გულძმარვის/რეგურგიტაციის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) გულზეწვის/გულძმარვის/რეგურგიტაციის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) გულზეწვის/გულძმარვის/რეგურგიტაციის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R11 / D09; D10	გულისრევა/ღებინება	<ul style="list-style-type: none">) გულისრევის/ღებინების გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) გულისრევის/ღებინების მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) გულისრევის/ღებინების დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) გულისრევის/ღებინების მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R002 / K04	გულისცემის გახშირება / გულის ფრიალი	<ul style="list-style-type: none">) გულისცემის გახშირების/გულის ფრიალის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;

		<ul style="list-style-type: none">) გულისცემის გახშირების/გულის ფრიალის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) გულისცემის გახშირების/გულის ფრიალის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) გულისცემის გახშირების/გულის ფრიალის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
Z99.2	დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი	<ul style="list-style-type: none">) თირკმლების ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტებში კომორბიდობის ასპექტების ცოდნა;) დიალიზზე მყოფი პაციენტის შეფასების უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) სპეციალისტის მიერ შემუშავებული დიალიზზე მყოფი პაციენტის მართვის გეგმის შესრულების უნარი;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R30.0 / U01	დიზურია (გამწელებული, მტკივნეული შარდვა)	<ul style="list-style-type: none">) დიზურიის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) დიზურიის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) დიზურიის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) დიზურიის მქონე პაციენტის მართვის უნარი;

		<ul style="list-style-type: none">) კონსულტირების საჭიროების განსაზღვრა და რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
S00-S09 / N80	თავის ტრავმა	<ul style="list-style-type: none">) თავის ტრავმული დაზიანების შემთხვევაში პაციენტის სტაბილიზაციის სტრატეგიის და ასპექტების ცოდნა;) თავის ტრავმული დაზიანების შემთხვევაში პაციენტის სტაბილიზაციის პრაქტიკული უნარები;) სპეციალისტის კონსულტაცია და რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება.
R51 / N01	თავის ტკივილი	<ul style="list-style-type: none">) თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) თავის ტკივილის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) თავის ტკივილის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) თავის ტკივილის მქონე პაციენტის მართვის უნარი (სპეციალისტის კონსულტაციის ჩათვლით);) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
M62.3	იმობილიზაციის სინდრომი	<ul style="list-style-type: none">) იმობილიზაციის განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების, მართვის და რეაბილიტაციის სტრატეგიების ცოდნა;) იმობილური პაციენტის შეფასების უნარი;) კვლევის, კონსულტირების და რეაბილიტაციის რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) იმობილური პაციენტის მულტიდისციპლინური მართვის უნარი;

		<ul style="list-style-type: none">) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
L98.9; K13.7 / S19; D20; D83	კანის/პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანება	<ul style="list-style-type: none">) კანის/პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანების განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) კანის/პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანების შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) კანის/პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანების დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) კანის/პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანების მქონე პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტების ჩართულობით;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
M79.6; R60 / A01; L08-L17	კიდურ(ებ)ის ტკივილი/შემუშება	<ul style="list-style-type: none">) კიდურ(ებ)ის ტკივილის/შემუშების გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) კიდურ(ებ)ის ტკივილის/შემუშების მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) კიდურ(ებ)ის ტკივილის/შემუშების დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) კიდურ(ებ)ის ტკივილის/შემუშების მქონე პაციენტის მართვის უნარი (საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტების ჩართვით);) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;

		<ul style="list-style-type: none">) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R56.9 / N07	კრუნჩხვა	<ul style="list-style-type: none">) კრუნჩხვის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) კრუნჩხვის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) კრუნჩხვის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) კრუნჩხვის მქონე პაციენტის მართვის უნარი (საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტის ჩართვით);) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R59.0-R59.9 / B02	ლიმფადენოპათია (ლიმფური კვანძების გადიდება)	<ul style="list-style-type: none">) ლიმფადენოპათიის განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) ლიმფადენოპათიის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) ლიმფადენოპათიის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) ლიმფადენოპათიის შემთხვევაში პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R47.8 / N19	მეტყველების მოშლა	<ul style="list-style-type: none">) მეტყველების მოშლის მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) მეტყველების მოშლის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის

		<p>უნარი;</p> <ul style="list-style-type: none">) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სპეციალისტ(ებ)ის ჩართვა;) მეტყველების მოშლის მქონე პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტ(ებ)თან კონსულტირების მეშვეობით;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R41.3 / P20	მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითება	<ul style="list-style-type: none">) მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითების განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითების სიმძიმის შეფასების უნარი;) მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითების დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) დემენციის მქონე პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტთან კონსულტირების მეშვეობით;) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სპეციალისტთა გუნდის ჩართვა;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) დემენციის ლეგალური და ეთიკური ასპექტების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას.
G25.9	მოძრაობის/ექსტრაპირამიდული დარღვევა, დაუზუსტებელი	<ul style="list-style-type: none">) მოტორული დარღვევის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) მოტორული დარღვევის/დამბლის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) მოტორული დარღვევის/დამბლის შემთხვევაში პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტთან კონსულტაციის მეშვეობით;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის

		განხილვა.
T36-T50 / A84	მოწამვლა (ინტოქსიკაცია)	<ul style="list-style-type: none">) მოწამვლის სხვადასხვა სახეების და პირველადი დახმარების ცოდნა;) მოწამვლის დროს პაციენტის შეფასების უნარი;) მოწამვლის დროს პირველადი დახმარების გაწევის უნარი;) სპეციალისტის კონსულტირება და პაციენტის რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება.
M54.5 / L03	მწვავე ტკივილი წელის არეში / ქურგის ქვემო ნაწილის ტკივილი	<ul style="list-style-type: none">) წელის არეში მწვავე ტკივილის გამომწვევი მიზეზების, დიაგნოსტიკებისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) წელის არეში მწვავე ტკივილის მქონე პაციენტის შეფასების უნარი;) წელის არეში მწვავე ტკივილის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) წელის არეში მწვავე ტკივილის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
H53.9 / F05	მხედველობის მოშლა, დაუზუსტებელი	<ul style="list-style-type: none">) მხედველობის სხვადასხვა ტიპის დაქვეითების მიზეზების, დიაგნოსტიკებისთვის საჭირო კვლევებისა და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) მხედველობის დაქვეითების შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) მხედველობის დაქვეითების დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) მხედველობის დაქვეითების შემთხვევაში პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტ(ებ)თან კონსულტირების მეშვეობით;) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სპეციალისტ(ებ)ის ჩართვა;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;

		<ul style="list-style-type: none">) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზისა და მართვის გეგმის განხილვა.
O10-O16; O26.9 / W29	ორსულთა სამედიცინო პრობლემები	<ul style="list-style-type: none">) ორსულობის თანმდევი სამედიცინო პრობლემების დიაგნოსტიკის, კვლევის და მართვის ასპექტების ცოდნა;) ორსულობის და მეძუძურობის პერიოდში უსაფრთხო ფარმაცოთერაპიის პრინციპების ცოდნა;) ორსულობის პერიოდში სამედიცინო პრობლემების შეფასების და დიაგნოსტიკის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) პაციენტის მართვის უნარი უსაფრთხო ფარმაცოთერაპიული პრონციპების დაცვით;) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სპეციალისტთა გუნდის ჩართვა;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზისა და მართვის გეგმის განხილვა.
Z51.5	პალიატიური მოვლა	<ul style="list-style-type: none">) პალიატიური ზრუნვის საშუალებების სრული სპექტრის (ნუტრიციული უზრუნველყოფა, ტკივილის მართვა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ა.შ.) ცოდნა;) დაავადების ტერმინალური ფაზის ნიშნების ცოდნა;) მომაკვდავი პაციენტის მოვლის კულტურული და რელიგიური ასპექტების ცოდნა;) ტკივილის ეფექტური მართვის, სიმპტომების (აჟიტაცია, ჭარბი რესპირაციული სეკრეცია, გულისრევა/ღებინება, ქოშინი და ა.შ.) კონტროლის, სულიერი, სოციალური და ფსიქოლოგიური მართვის უნარები;) პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან ან მზრუნველ პირებთან მკურნალობის და მართვის დადებითი და უარყოფითი მხარეების გულახდილი და ეთიკური განხილვის უნარი;) სპეციალისტთა კონსულტირების საჭიროების იდენტიფიცირება და

		<p>საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;</p> <ul style="list-style-type: none">) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) გარდაცვალების ფორმის შევსების უნარი;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R63.1 / T01	პოლიდიფსია (გამლიერებული წყურვილი)	<ul style="list-style-type: none">) პოლიდიფსიის განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) პოლიდიფსიის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) პოლიდიფსიის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) პოლიდიფსიის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
R35 / U05	პოლიურია	<ul style="list-style-type: none">) პოლიურიის განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;) პოლიურიის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) პოლიურიის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევისა და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) პოლიურიის მქონე პაციენტის მართვის უნარი;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
K62.5 / D16	რექტული სისხლდენა (სისხლდენა ყითიდან და სწორი	<ul style="list-style-type: none">) რექტული სისხლდენის განმაპირობებელი მიზეზების, დიაგნოსტიკისთვის საჭირო კვლევების და მართვის სტრატეგიების ცოდნა;

	ნაწლავიდან)	<ul style="list-style-type: none">) რექტული სისხლდენის შემთხვევაში პაციენტის შეფასების უნარი;) რექტული სისხლდენის დიფერენციული დიაგნოზის უნარი;) კვლევის და კონსულტირების რელევანტური გეგმის შემუშავების უნარი;) გამოკვლევებით მიღებული შედეგების ადექვატური ინტერპრეტაციის უნარი;) რექტული სისხლდენის მქონე პაციენტის მართვის უნარი სპეციალისტთან კონსულტაციის მეშვეობით;) საჭიროების შემთხვევაში რეფერალის განხორციელება;) დოკუმენტირება/პროტოკოლირება;) პაციენტთან/მზრუნველ პირებთან პროგნოზის და მართვის გეგმის განხილვა.
